საქართველოს მთავრობის

დადგენილება №137

2023 წლის 5 აპრილი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანსამბლების გაერთიანება „ქართული სიმღერის“ შექმნის შესახებ

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ანსამბლების გაერთიანება „ქართული სიმღერა“ (შემდგომში – ანსამბლების გაერთიანება).

მუხლი 2

ანსამბლების გაერთიანების უფლებამოსილება განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი.

მუხლი 3

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ განახორციელოს ანსამბლების გაერთიანების სახელმწიფო კონტროლი და უზრუნველყოს ანსამბლების გაერთიანების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნა.

მუხლი 4

ანსამბლების გაერთიანებას მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო სახსრები განესაზღვროს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საბიუჯეტო ასიგნებებიდან და კანონმდებლობით ნებადართული (საკუთარი) შემოსავლებიდან.

მუხლი 5

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 მაისიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**